№ 179 28 აგვისტო, პარასკევი. 1866—1881 28 აგვისტო, პარასკევი. № 179.

რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზედ. ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თბილისში „დროება“-„ივერიის“ რედაქციაში, ქუთაისში: „დროება-ივერიის“ აგენტთან ი. ჭყონიასთან სოლაზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверіи“.

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

წვრილი ასოებით ასოზე 1 კაპ.; [illegible] ნახევარი კაპ., [illegible] ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროება“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

ქალაქს თბილისში გაიმართა **პანსიონი** და სავარჯიშო **კლასები** სამოქალაქო და სამხედრო გიმნაზიების და რეალურ სასწავლებლის შაგირდებისათვის და სკოლა ყმაწვილების მოსამზადებლათ ყველა საშუალ სასწავლებლებისათვის. ასწავლიან ფრანცუზულ და ნემეცურ ენებს და მუზიკას.

მიღება ყმაწვილებისა შეიძლება მუდამ დღე 8—2 საათამდე მიხაილოვის ხიდზე, ნიკოლაევის ქუჩის გვერდით, კნეინა გრუზინსკის სახლებში, № 21.

გ. ფოსელიანი.

(3—2) რ. რეცოლდი.

## ტელეგრამები

(„კავკასიის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

**პეტერბურღი**, 26 აგვისტოს. „მმართებლობის მოამბე“ გვაცნობებს, რომ ხელმწიფე იმპერატორმა ნება დართო „ჯანსაღ-მოყვარე საზოგადოებას“ ორი სტიპენდია დააწესოს ამ საზოგადოების გიმნაზიაში მიტროპოლიტის ისიდორის სახელობით. იმის 25 წლის იუბილეის სახსოვრად.

**ვაშინგტონი**, 25 აგვისტოს. პრეზიდენტი გარფილდი დღეს ცოტათი უკეთ არის; ის ბალტიმორში გარდაიყვანეს.

## დაუმსახურებელი საყვედური

თბილისი, 27 აგვისტოს.

ჩვენ დიდათ დავალებულნი და მადლიერნი ვართ ჩვენი თანამშრომელებისა. დავალებულნი ამისთვის, რომ თანამედროვე ქართულ გაზეთს, სხვა-და-სხვა გარემოებათა წყალობით, არ აქვს იმდენი ღონისძიება, რომ თანამშრომელებს შრომის ფასი გადიხადოს; მადლიერნი, ამისთვის რომ, თუ არ იმათი შემწეობით, არათუ არ ეცოდინებოდა გაზეთს რა ხდება საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებში, და რა საჭიროება აქვს ჩვენ ხალხს, თითონ გაზეთის გამოცემაც შეუძლებელი იქნებოდა. რამდენიც უნდა ვწეროთ ჩვენი თანამშრომელების დავალებას მაინც ვერ გამოვთქვამთ აქ საკმაოთ...

მაგრამ ბევრი ჩვენი თანამშრომელები ხშირათ ისეთ რამეს გვწერენ, რომლის დაბეჭდვა ჩვენთვის შეუძლებელია, და, სამწუხაროთ, ბევრი მათგანი ამის გამო გვესაყვედურებიან რატომ ჩემი სტატია, ან კორრესპონდენცია არ დაგვიბეჭდეო. ამ გვარი საყვედური ნამეტურ ამ უკანასკნელ თვეში გვესმა და მოგვივიდა.

რომ შესაძლებელი იყოს, რომ ქვეყნისთვის საინტერესო და სასარგებლო იყოს გაზეთს მეტი რა უნდოდა, ეს სტატიები და კორრესპონდენციები ებეჭდნა, მაგრამ რომ ვერა? საზოგადოთ ან ისეთ რამეს გვწერენ, რომლის დაბეჭდვა სრულებით შეუძლებელია, ან ისეთ რამეს, რომელზედაც ათასჯერ თქმულა, რომლის ბეჭდვა ჩვენ მოგვწყინდა და თქვენ კითხვა.

ერთი იწერება: ჩემ რძალს „სედლო“ არა ჰქონდა და ქმარს უთხრა: თუ „სედლო“ არ მიყიდე თავს ჩამოვიხრჩობო... გთხოვთ ეს ჩაავდოთ გაზეთშიო.

მეორე იწერება: ჩვენ სოფლის მღვდელს საყვარელი ჰყავს, და თუ საყვარელი არ დაითხოვა უფრო ვრცელ კორრესპონდენციას გამოვგზავნით და თუ მაშინაც არ დაანება თავი, ერთი პირი ოთხ-მოქმედებიან დრამას უმზადებს იმას და ამ ოთხ-მოქმედებიან დრამიდამ ვერა დაიხსნის რა იმასაო.

მესამე იწერება: მეზობლის ღორები შემოეჩვია ჩვენ ყანას და თუ ასე მეზობლის ღორებმა სჭამეს ყანები, საქართველოში მალე შიმშილი იქნებაო...

მეოთხე იწერება: მე ვერცხლის ქამარი ვიყიდე და ჩემ ბიძაშვილს ეს შურს და სიცოცხლეს მიმწარებს. მიშველეთ რამე, ღვთის გულისათვის, თქვენს გაზეთში ჩაბეჭდეთ ესაო.

და სხ. და სხ.

ერთი მესამედი ჩვენი კორრესპონდენციებისა ამ გვარი ცნობებით არის სავსე.

მეორე მესამედი ეკუთვნის იმის გამეორებას, რაც თქმულა და დაბეჭდილა ჩვენ გაზეთში. ამ შემთხვევაში საქმე გაუჭირა რედაქციას სასულიერო სასწავლებლების, სემინარიის და სამღვდელოთა პოლემიკამ. რაც დაბეჭდილია ამ საგანზე ორი იმოდენა რედაქციის პორტფელში აწყვია. რედაქცია იძულებულია ხან-და-ხან ისეთ ადგილზე შესწყვიტოს ეს პოლემიკა. ეს პასუხის პასუხი, რომელზედაც პოლემიკა ჯერ არ იყოს რიგიანათ მოთავებული, მაგრამ რა უნდა ჰქნას კაცმა რომ ჩვენი ერთად-ერთი გაზეთი სასულიერო მახარებელი და ეპარქიალური უწყება არ არის და გარეშე მკითხველს ცოტა არ იყოს მოსწყინდა ეს დაუსრულებელი პოლემიკა.

არის კიდევ ისეთი პირები, რომლიდამაც ყველაზე უფრო გაცხარებული საყვედური ხვდება ჩვენ გაზეთს. ეს გახლავთ ლექსთა-მწერლები. ნადიმი ისე არ გათავდება საქართველოში, ახალ-გაზდა ქალი ისე არ შეიკერავს ჩითის კაბას, რომ თანამშრომლებს ჩვენ არ მოაგონდეთ შაირითა და ლექსებით და რადგანაც ეს იშვიათი არ არის ჩვენში, თქვენ ადვილათ მიხვდებით რამდენი ლექსიც უნდა იყოს იმ უჯრაში, რომელშიაც რედაქციაში დრომდე ინახება დაუბეჭდავი ლექსები...

ახლა თქვენ თითონ განსაჯეთ: ვიმსახურებთ ამ შემთხვევაში საყვედურს თუ არა?

---

«დროების» ფელეტონი, 28 აგვისტ.

## ზედ-სიძე.

მოთხრობა რაფფისა

(სომხურიდამ ნათარგმნი)

(დასასრული*)

ნახევარ საათის შემდეგ ზიგოლა კიდეც მივიდა სოფიოს სახლთან. ზურნის ხმას საშინელი გავლენა ჰქონდა მასზედ. გაქვავებული იდგა და ყურს უგდებდა ქორწილიდგან გამოსულ ხმაურობას. რამდენიც ხანი გადიოდა იმდენი იმისი გულის აღშფოთება უფრო ძლიერდებოდა.

ამ დროს უეცრათ გამოჩნდა ერთი ყმაწვილი ქალი, რომელიც მიეჩქარებოდა ახლო მდებარე სახლისაკენ.

— აჰ! ნინუცი, შენა ხარ? დაუძახა იმას ზიგოლამ.

— მე ვარ ზიგოლჯან, დაუგდა და ხმა მისცა ქალმა.

— სად მიხვალ?

— ჩვენსა მივალ: მანტო უნდა წამოვიღო, თორემ ძალიან ცივა. ეხლა ჯვარის წერაზედ უნდა წავიდეთ.

— რა ჯვარის წერაზედ? გამშრალებული ჰკითხა ზიგოლამ.

— განა არ იცი? ნატოს ჯვარისწერაა ამეღამ.

ზიგოლა სრულებით დადუნდა.

— ნატოს შენ ეხლაც უყვარხარ, ზიგოლ-ჯან, უთხრა ნინუცამ: რამდენჯერ იმას გული წასვლია და მე მომიბრუნებია... მეუბნებოდა: —ნინუცი! შეთუოდ მოვკვდები, სანამ ეკკლესიაში წამიყვანენ.

— აჰ, ღმერთო! დაიძახა ზიგოლამ გულ ამოსკვნით.

— ნატოს ბრალი არ არის, ზიგოლ-ჯან: ის ამბობს, რომ შენ თავის დღეში არ დაგივიწყებს და სიკვდილამდის ეყვარები; მაგრამ დაბრმავდნენ შენი დედ-მამის თვალები, რომ თქვენ ერთმანერთს გაგაშორეს.

ზიგოლამ არაფერი აღარა უთხრა. ის თავჩაღუნული გაემგზავრა მტკვრისაკენ, როცა ნინუცაც გაშორდა. იმისი სიჩუმე კარგათ გაიგო ქალმა, რომლისათვისაც ცხადი იყო ზიგოლას უბედური მდგომარეობა. ნინუცამ დაუწყო შორიდგან ყურება: — თუ საითკენ წავაო.

ქალი აღარ წავიდა თავის სახლში მანტოს მოსატანათ და ისევ უკან შევიდა სოფიოს სახლში. მივიდა და თავის ძმას ყურში ჩაუჩურჩულა:

— სტეპკო! ჩვენი ზიგოლა ამ მინუტში მტკვრისაკენ წავიდა; ძლიერ ნაღვლიანია, აბა ერთი წადი და ნახე რა იქნა ის საცოდავი ყმაწვილი?

სტეპკო მაშინვე გამოვარდა გარეთ.

შავ ღრუბლებს უკვე დაეწყოთ გათხელება და მტკვრის ნაპირები ბჭყვინავდნენ მთვარის უელვარო შუქზედ.

ზიგოლა დგას მდინარის პირზედ.

— დღეის იქით მე ქვეყანაზედ აღარ მეცხოვრება. სთქვა იმან და როგორც მოემზადა წყალში გადასავარდნელათ, ამ დროს სტეპკომ შემოხვია იმას მაგრად ხელები და გააჩერა.

— აჰ! თუ ძმა ხარ, გამიშვი! შეედრებოდა ზიგოლა.

— რას შერები? ხომ არ გაგიჟებულხარ? უპასუხა იმას სტეპკომ და მოაშორა ის მდინარეს.

— აჰ! ნეტავ რათ მიშლი?!...

IX

ამ დროს ბებერ სოფიოს სახლში მღვდელი ფეხზედ წამოდგა, ყველა სტუმრებმა დაანთეს თავიანთი ფარნები და მოემზადნენ საყდარში წასასვლელათ ჯვარის-წერის წესების ასასრულებლათ.

ჯუმბუტ-ბეკი მორთული იყო თავის საქორწინო ტანისამოსში, რომელიც იმ დღეებში იმისთვის შეაკერვინა შუშანამ. ვაჟი ძალიან მხიარულად იყო; ნატოც აგრეთვე მორთული იყო, მაგრამ იმისი ფერ-წასული სახე და ნაღვლიანი თვალები გამოხატავდნენ იმედ-გარდაწყვეტილ და საშინელ აღელვებას.

მათთან უეცრათ შემოვიდა ვიღაც უცხო სტუმარი. ის იყო თეთრ წვერიანი გმირული მოხუცი; იმისი შავი ჩოხ, ზორბა ტყავის ბუხრული ქუდი და ტყავის ქალამნები ამტკიცებდნენ, რომ ის მოდიოდა შორ ქვეყნიდგან. მოხუცის უცხო და ამაყმა პირის-სახემ მაშინვე მიიზიდა ყველა იქ მყოფის ყურადღება იმისი მოულოდნელი გამოცხადება მეხვეთ გულს ეცა მეფეს.

---

*) იხ. „დროება“ № 177.

ჩვენ სრულებით არ გვინდოდა ამაზე ლაპარაკი და ისე გვინდოდა წავგვეყურებია ეს საჩივარი, როგორც დღემდის გვიქნია, მაგრამ ჯერ ერთი რომ ვალი გვაწევს შევატყობინოთ უსასყიდლო თანამშრომლებს რატომ არ ვბეჭდავთ მათ ნაწერს და მეორეთ გვინდა ამ საყვედურის გამო ვთქვათ თუ რა გვარი თანამშრომლები გვჭირია ჩვენ და რა უნდა მოგვაწვდინოს ჩვენ ჩვენმა თანამშრომელმა.

ჩვენ ასე პირ-და-პირ წავიტყდეთ ამ კითხვას და, იძულებული ვართ პირ-და-პირი ლექსიკონური პასუხი მივცეთ ამას, რაც უნდა უსრული და ნაკლე იყოს.

ჯველა ჩვენი თანამშრომლისაგან, ნამეტურ კორრესპონდენტისაგან, ჩვენ გვინდა ფაკტი, ფაკტი და ფაკტი. ამ ფაკტებზე სჯა, სტილი, დასკვნა შეუძლიან მათ სული უგულებელი ჰყონ, რადგანაც ამაზე ზრუნვა თითონ რედაქციის მოვალეობა არის, მაგრამ ფაკტი კი ნამდვილი უნდა იყოს და ყოველ შემთხვევაში ჰქონდეს რამე საზოგადო ინტერესი. მეზობლის ღორმა რაც უნდა სჭამოს ყანა, ამას საზოგადო მოვლინების ხასიათი არას გზით არ შეიძლება მიეცეს და საქართველოს ამისგან არავითარი უბედურება არ მოელის, რომ რედაქციამ და ლიტერატურამ ქასსანდრის კივილი გაიბას, ეს ყველამ იცის. რედაქციისთვის საჭიროა იცოდეს სად რა ჭირი და ლხინი აქვს საზოგადოებას: სად როგორი მოსავალია, როგორი სწავლა-განათლება, როგორი თვით-მმართველობა, როგორი ადმინისტრატიული წესი, როგორი ავათ-მყოფობა ხალხში გავრცელებული, როგორი ცრუ-მორწმუნება და ბევრი სხვა ამ გვარი **საზოგადო თვისების** მქონი ფაკტები, რომლის ჩამოთვლა გვაეიწყდება ჩვენ ამ აჩქარებულ წერაში.

ამ გვარ ფაკტებს რედაქცია დიდის სიამოვნებით მიიღებს და დაბეჭდავს. ეს იქნება ნამდვილი თანამშრომლობა გაზეთისა და რედაქციის საქმე ამ შემთხვევაში იქნება დიდათ გაადვილებული. მაშინ მხოლოდ შეიძლება გაზეთს იქნეს ნამდვილი წარმომადგენელი საზოგადოებისა და შეძლებისა მებრ მისი ნამდვილი მდივანი, მისი წინამძღოლი.

რაც შეეხება კორრესპონდენციების და სტატიების ლიტერატურულ ფორმას, სტილს, ამაზე რედაქცია არ გაუძნელებს საქმეს თავის თანამშრომლებს. რედაქციაში ბევრი ოფლი და უფრო ბევრი მელანი დაღვრილა ამ კორრესპონდენციების გამოსაკეთებლათ და ოღონდ კი საქმის კორრესპონდენციები და სტატიები მოუვიდეს რედაქციას და ამ ოფლმა და მელანმა კორრესპონდენტის ჭირი წაიღოს.

ლელო.

## ახალი ამბები.

ქუთაისიდამ გვწერენ, რომ იმერეთის სამღვდელოების კრებას გადაუწყვეტია დაარსდეს ქალაქს ქუთაისში სასულიერო სემინარია, სამღვდელოების ხარჯით.

მოულოცავთ იმერეთის სამღვდელოებას და მის ღირსეულ ეპისკოპოსს გაბრიელს ამ გვარ ბედნიერ გადაწყვეტილებას. იმედია, სამეგრელო გურიის სამღვდელოება არ ჩამორჩენიან იმერეთისას და სასულიერო სემინარიის საქმეს არავითარი დაბრკოლება არ მიეცემა.

ეპისკოპოსს გაბრიელს ამ შემთხვევის გამო, როგორც გვწერენ, წარმოუთქვამს მშვენიერი სიტყვა, რომელსაც ჩვენ დავბეჭდავთ მიღებისათანავე.

* * *

კიდევ სემინარიაზე.

ჩვენი ერთგული და ძველი თანამშრომელი მღ. დ. ჯანაშვილი (ინვილო), რომელიც ეს სამი წელიწადია მოსკოვის აკადემიაში იყო, ახლა თბილისის სემინარიაში დაუნიშნავთ ინსპეკტორის თანაშემწეთ.

* * *

იმერეთიდამ გვწერენ:

„დროების“ 172 №-ში დაბეჭდილ წინა სტატიამ და „ახალ ამბების“ განყოფილების შენიშვნამ ჩვენს ბაკისუბანში დედაკაცის დაღალვის გამო (კუდიანობის დაწამებით) მიიქცია ქუთაისის სასულიერო მთავრობისა და ადმინისტრაციის ყურადღება. ოც-დაერთს ამ თვისას მიაი ყოვლად-უსამღვდელოესობა გაბრიელი და მაზრის უფროსის თანაშემწე ალშიბაია ჩამოვიდნენ აქ ზემოხსენებული საქმის გამოსაკვლეველად. თურმე მათ პირველად „დროებიდამ“ გაეგოთ ეს ამბავი და ამიტომაც ასე დაიგვიანეს ამ საზიზღარ მოვლინების ადგილზე ჩამოსვლა...

„ამით ისარგებლეს დამნაშავეთა და თვით დაღალულ დედაკაცს ათქმევინეს, რომ მე თვითონ დავიღალე ჩემი თავიო!! ამის მიუხედველად თითქმის მთელი სოფელი ამბობდა ნამდვილს მიზეზს საბრალო დედაკაცის გადავარებისას და პირ-და-პირ უთითებდა დამნაშავეებზე.

„ყოვლად სამღვდელომ და ბ. ალშიბაიამ გაჰკიცხეს დამნაშავეთა ცუდი მოქმედება, არწმუნებდნენ ხალხს, რომ კუდიანები და კუდიანობა არის მხოლოდ გაფუჭებული და უტვინო ადამიანებისაგან შეთხზული ტყუილი და არა მართალიო და სხვა და სხვა.

„ჯერ-ჯერობით ამ საქმის გამო მეტი არაფერი ქმნილა-რა. შესაფერად დამნაშავეთ არ ეძლევათ მისაგები და მათგან დამსახურებული სასჯელი, რომელიც ნახსენების წინა-სტატიის თქმისა არ იყოს ხალხს დააჯერებს, რომ მმართებლობას და მთავრობას არ სჯერა კუდიანები და კუდიანობა და ეს დაჯერება კი დაარწმუნებდა მას მისი ცრუ-მორწმუნოების უსაფუძვლობას.“

გ. მ.

# უცხოეთი

## წერილი პარიჟიდამ

28 (16) აგვისტოს.

საყოველთაო კენჭის-ყრის წესდება თხოულობს, რომ პალატა დეპუტატებისა ყოველ მეოთხე წელს უნდა განახლდეს, ხელ-ახლად ამორჩეული დეპუტატებით. ამისთვისაც ივლისის დამლევს პალატაში შესწყდა სხდომები და მუშაობა. ამორჩევების დღეთ დაინიშნა 21 (9) აგვისტო.

ოცი დღე ვადა რჩებოდა ამორჩევისთვის მოსამზადებლად. ამისთანა მოკლე ვადის დანიშვნამ მმართებლობისაგან დიდი უკმაყოფილება და განკიცხვა გამოიწვია თითქმის ყველა პოლიტიკურ პარტიებში. ჯერ მაინც ამორჩევის დღეს მმართველობა მალავდა. ამის შესახებ დეპუტატმა კლემანსომ პალატაში დაეკითხა მინისტრს **ჟულ-ფერრის**. კლემანსომ დაიწყო იქიდამ, რომ 1875 წლის კონსტიტუციაში არ არის აღნიშნული ამორჩევების ვადა; ამ ვადის დანიშვნა დეპუტატების ნებაზედ არის დამოკიდებულიო, რადგან ეს უკანასკნელნი საყოველთაო კენჭის-ყრიდამ წარმოსდგებიანო. **სამხედრო** მინისტრი აცხადებს, რომ ამორჩევები უნდა იქნეს სეკტემბერშიო, და ნუ თუ

მოხუცმა თავის მხრივ ყური არავის უგდო და მოურიდებლათ გასწია პირ-და-პირ მეფისაკენ, რომელსაც გაბრაზებულ ცქერით უთხრა:

— შე ძაღლის ლეკვო, ამდენი ხანი სადა ხარ დაკარგული? რამდენი ხანია შენს უკან დავდივარ! რუსეთისა და ყიზილბაშის ქვეყნები აღარ დამრჩა მოუვლელი. მარტოთ-მარტო მივლია შენ საპოვნელად! შენ-კი შენი სახლ-კარი და ნორჩი წვრილ-შვილი უპატრონოთ გაგიშვია და უცხო ქვეყანაში ქეიფს ეწევი! შე ეშმაკის შვილო, აღარა ჰფიქრობ, თუ მე მამა მყავს, დედა მყავს, სახლი მაქვს, კარი მაქვსო?! აღარა ჰფიქრობ, რომ შენი წვრილ-შვილი მშიერმწყურვალი იხოცება და შენი ცოლის თვალები ბევრის ტირილისგან ბრმავდება?!

ჯუმშუტ-ბეკს კანკალი და ცახცახი დააწყებინა.

იქ მყოფ ხალხმა იმ კაცის დამტვრეულ სომხურ კილოს სიტყვებიდგან სრულებით ვერა გაიგეს-რა; მხოლოთ შუშანა კი, როდესაც დაინახა, რომ იმ კაცმა მეფეს ხელი მოსჭიდა და დაპირა მისი გარეთ გათრევა, მივარდა, წაავლო იმას ხელი და დაიყვირა:

— ბიძავ, ვინა ხარ? რასა შვრები? რა დავა გაქვს მაგასთან?

მოხუცმა შუშანას ერთი შეხედვა და უპასუხა:

— მკითხავ—მე ვინა ვარ? მე მაგ უსირცხვილოს საცოდავი მამა ვარ (თითი მიუშვირა ჯუმშუტ-ბეკს)! ეგ ჩემი ბედასლი შვილია!

— მე შენ არ გიცნობ, უპასუხა ჯუმშუტ-ბეკმა.

— არ მიცნობ?! ხედავ ამ კომბალს? უთხრა მოხუცმა და ასწია მაღლა ერთი საშინელი კეტი, რომელიც იმას ეჭირა ხელში.

შუშანა ძლივს მიხვდა იმ უცხო კილოს ლაპარაკს და შეიტყო, რომ ის კაცი აცხადებს იმის სასიძოს მამობას და დაუყვირა:

— რის მამა, რას ამბობ!? ამას მამა არა ჰყავს! ამისი მამა მკვდარია!

მოხუცმა ერთი მწარედ გაიღიმა და მერე დაცინვით უპასუხა:

— ჰა, მაგის მამა მოკვდა, მარა ეხლა კი ისევ გაცოცხლდა!

— შენ ამისი მამა არა ხარ! ეს მელიქ თოროსის შვილია ჯუმშუტ-ბეკი! ამისი მამა დიდი კაცი იყო, და არა შენსავით დ თვი! შეპასუხა შუშანამ.

მაგრამ სოფლელმა გულ-გრილათ უთხრა იმას:

— მელიქ თოროსის შვილია, ჰა? ჯუმშუტ-ბეკია, ჰა? მართალია, მელიქ თოროსას შვილი ძალიან დიდი კაცია, მაგრამ ეს თვალთ-მაქცი და ავაზაკი ის არ არის: ეს ჩემისთანა დათვის შვილია... ბიქუაა, ბიქუა!

— ბიქუა ვინ არის, რას ამბობ? ეხლა ეს ჩემი სიძეა!

— ეს უკანასკნელი სიტყვები უფრო გასაოცრად მოხვდნენ მოხუცს გულში. ის მიუბრუნდა შუშანას და ჰკითხა:

— შენი სიძეა?

— ჰო, ჩემი სიძეა და ამაღამ ჯვარის-წერაც გვაქვს! ვერა ჰხედავ ქორწილი გვაქვს?!

მოხუცი სრულებით გაოცდა; ის მიუბრუნდა თავის შვილს და უთხრა:

— დედამიწა გასკდეს და შენ თან ჩაგიტანოს და ზედაც დაგეცეს ღვთის მეხი! განა აქაც მოატყუე!? აქაც გინდა ჯვარი დაიწეროო?! მერე მიუბრუნდა შუშანას და ხელით თავის შვილზედ აჩვენა:

— ზეცაემა გამჩენმა დასწყევლოს ამისი თავი! ოთხი წელიწადია, რაც მე სულ ამის ძებნაში ვარ. დედამიწა მოვიარე, ადგილი აღარ დარჩომილა, რომ ამას ვინმე არ მოეტყუილებინოს. რამდენ ალაგას ჯვარი დაუწერია და ისევ თავი დაანება! რამდენ ქალაქში მაგისი ცოლები და შვილები მთხოვრებათ დადიან!..

— ჯვარ-დაწერილია?! ელდის ცემითა ჰკითხა შუშანამ.

— დიდი! შვიდზედ არის ჯვარ დაწერილი ეს უბედური! ეხლა ერთი ცოლიც შინ უზის!

ყველა სტუმრები გაშრენ ვაკვირვებისაგან.

ვაი ჩემ ცოდვას!! თავში ცემით დაიბღავლა შუშანამ.

— ვაი ჩემ ნამუსს! დაიძახა ნატომ, რომელსაც თან გული მისდიოდა.

— გამიშვით, მოვკლა ეგ წყეული! დაიყვირა უსტა გრიქურამ, რომელიც ხელეჩოთი ხელში არწივივით შემოვარდა შიგნით.

მაგრამ „ზედ-სიძე“ უკვე გაჰქრა, როგორც მოჩვენება.

ამ დროს გულ-წასულ ნატოსთან მივიდა ერთი ჭაბუკი, რომელმანც ფეხზედ ააყენა ის და დაიძახა: „მე ვარ მეფე, მე“!

ეს იყო გიგოლა.

თარგმ. იოსებ სტეფანოვისაგან.

მართალია, რომ ამორჩევების დღეთ 21 აგვისტოა დანიშნულიო? თუ მართალია, რა მიზეზია ასე აჩქარებისაო? მინისტრმა ფერრიმ მიუგო. მე შემიძლია ამ გვარ კითხვაზედ პასუხი არ მოგცეთო; ვაცხადებ პალატის წინ, რომ 21 აგვისტო მმართებლობამ დანიშნა საზოგადო ამორჩევისთვის. ამასთანავე ფერრიმ წამოაქადნა, რომ რადიკალებს აუცილებელი დამარცხება მოგელისთო. რამოდენადაც ეს წინასწარმეტყველება გამართლდა, მკითხველი იმას ქვევით დაინახავს.

ბ. კლემანსომ მინისტრის პასუხზედ წარმოსთქვა შენიშვნა, ჟულ-ფერრისაგან ეპინალში წარმოთქმულ სიტყვის თაობაზედ. ამ სიტყვის შინაარსი ეს გახლამთ: არც რევიზია ახლანდელ კონსტიტუციისა, არც გაყოფა რესპუბლიკურ პარტიისაო. ჯერ რევიზია არ გვეჭირვებაო, რესპუბლიკური რეფორმების აღსრულება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოწინააღმდეგე არვინ გვეყოლებაო, ამისთვის ჯერ მარჯვენა მხარე პალატისა, ესე იგი მონარხიელები და მონაპარტიელები მოვიშოროთ თავიდამაო. როდესაც ესენი არ იქნებიან, მაშინ შეგვიძლია გავიყოთ ვიგებათ და ტორიებათ, როგორც ინგლისშია, ესე იგი პროგრესიული და კონსერვატორული პარტია.

ამავე დროს გამბეტტამ კაჰორში რევიზიის შესახებ სთქვა, რომ: უდროვო არისო ჯერ. როდესაც ეს ორი არატორი: ერთი ეპინალში და მეორე კაჰორში რევიზიაზედ უარს ყოფდნენ, კლემანსომ შესანიშნავი სიტყვა წარმოსთქვა პალატაში რევიზიის სასარგებლოდ. კლემანსო ამტკიცებდა, რომ ეხლანდელ კონსტიტუციაში ბევრი იმისთანა წესდება და კანონებია, რომელნიც არ შეეფერებიან ნამდვილ დემოკრატიულ მმართებლობას, და რომელნიც უშლიან ამ დემოკრატიას თავისუფლებისაკენ და პროგრესისაკენ სვლასო.

ამორჩევების დროს რესპუბლიკურ კანდიდატების პროგრამმაში სანახევროდ, რევიზიის პროექტი იყო ჩატანილი.

რადგან ერთხელ გამოცხადდა, რომ ამორჩევები 21 აგვისტოს იქნებოდა, ყველა პარტიები დაუყოვნებლივ საქმეს შეუდგნენ. იმ დღიდამვე დაწყებული იყო ამომრჩეველ კომიტეტების შედგენა, კანდიდატების გამორჩევა, პროგრამმების შედგენა, კონფერენციები, გამოსული დეპუტატებისაგან თვის გამომრჩევლებისთვის ანგარიშის მიცემა, პარტიების წარმომადგენელების მოგზაურობა და სიტყვების წარმოთქმა.

ამორჩევების წინ პოლიტიკური პროგრამმის გამოცხადება საზოგადოთ აუცილებელი საქმეა და ნამეტურ პარტიის მოთავისთვის. გამბეტტამ ტურში გამოსთქვა თვისი პოლიტიკური შეხედულობა მომავალ რეფორმებზედ და თავისი პროგრამმა. იმან სთქვა, რომ ახალს პარტიაში ხალხმა აუცილებლად უნდა გამოგზავნოს მმართებლობის უმეტესობაო, ესე იგი, მმართებლობის მომხრე დეპუტატები, რომ ცენტრალიზაციის გამაგრება და მმართებლობის ძალის მიცემა არის საჭიროვო. რაიცა შეეხება რეფორმებს, კონსტიტუციის გადახედვას, სენატის გაუქმებას, სამსაჯულოს, ჯარის, სასწავლებელის და სხვ. გამბეტტას შეხედულობა ამაებზედ ბევრად განსხვავდებოდა რადიკალების აზრიდგან. მაგალითად, გამბეტტას რევიზია უნდა, თუმცა კაჰორში კი სრული უარი ჰყო ამაზედ; მაგრამ ნაწილ-ნაწილად; სენატის გაუქმება გამბეტტას არა სურს, მხოლოდ უნდა ცოტა რამე ცვლილება მოახდინოს იმაში, მაგალ: ბიუჯეტის საქმეში დეპუტატების პალატას ექნეს უკანასკნელი სიტყვა და გარდაწყვეტა მინიჭებულიო; ამას გარდა სენატორების რიცხვი დამოკიდებული იქნეს მცხოვრებლების რიცხვზედო. დანარჩენი რეფორმები ზომიერად და პროგრესიულად უნდა განხორციელდეს, ბ. გამბეტტის აზრით.

მთელი პარიჟი ოც უბნად არის დაყოფილი, თითო უბანს თითო დეპუტატი ჰყავს წარმომადგენელად; მაგრამ ზოგიერთ ამ უბანში უფრო მეტი მცხოვრებლებია, ვიდრე სხვაში; ამის გამო უბანი ორ ნაწილად იყოფება და ერთის მაგიერად ორი დეპუტატი უნდა იქნეს გამორჩეული; მოხდება ხოლმე, რომ ორივე განყოფილებაში ერთი წარმომადგენელი ირჩევა. ამ უბნებში საყოველთაო ყურადღება ჰქონდა მიქცეული მეოცე უბანს— ბელვილისას. ბელვილის წარმომადგენლად, დეპუტატად გამბეტაა 1869 წლიდამ. აქვე უნდა მე ვიხსენო, რომ ბელვილის მცხოვრებლების მომეტებული ნაწილი უკიდურე დემოკრატები და სოციალისტები არიან.

აქ ბ. გამბეტტის წინააღმდეგ გამოვიდნენ რადიკალების კანდიდატებად კანდიდატი სიგიზმუნდ ლაკრუა და რევილლიონი ორივე პარიჟის სამოქალაქო რჩევის წევრები. არცერთს უბანში არ ყოფილა ამისთანა შეუპოვარი და გაცხარებული მოპირდაპირების შეტაკება, გაცხარებული ბაასი, როგორც აქ. ორი ყრილობა საკმაო იყო, რომ ამ ორ რადიკალს ბელვილის ამორჩეულებს გული მოეგოთ, თავიანთის მხურვალე სიტყვებითა და ბევრის შემპირებელი პროგრამით. ტონი რევილლიონი და ლაკრუა ეუბნებოდნენ გამომრჩევლებს, უფრთხილდით გამბეტასო, რომელსაც დიქტატორობა სურსო. ვერ ხედავთო, რომ ის პროგრამა, რომელიც თქვენ ჩააბარეთ გამბეტტას 1869 წელს, იმან დახია და გადააგდო, როგორც უვარგისი რამეო!

გამბეტტამაც თავის მხრით გამართა სხდომები. პირველ სხდომაში, რომელმაც მშვიდობიანად ჩაიარა, გამბეტტამ ანგარიში წარუდგინა თავის ამომრჩევლებს. მეორე სხდომისათვის ათი ათასამდე ბილეთები იყო გაგზავნილი მოსაწვევად. დანიშნულ დღეს ზალაში ტევა არ იყო; სანამ სხდომა გაიხსნებოდა, ზალაში სრული რიგიანობა იყო. ცხრის ნახევარზედ შემოდის გამბეტა, კრებამ თავმჯდომარე და სეკრეტარი უნდა აირჩიოს; გამბეტტის პარტიას უნდა, რომ მეტიე იქნეს თავმჯდომარედ. მოპირდაპირეებს თავიანთი უნდათ და ჰყვირიან: „რეტი დანიშნეთ რეტიო!" თუმცა მეტიე ხმის უმეტესობას არ ამოურჩევია, მაგრამ წავა, რომ თავმჯდომარის ადგილი დაიკავოს. ამ დროს შეიქნება ხმაურობა, ათასი ხმა ეძახის მეტიეს: არ გვინდიხართ, არ გვინდიხართ! ამას მოჰყვება გაუწყნარებელი ყვირილი: „ძირს გამბეტტა! ძირს დიქტატორი! ძირს გალიფე! *) და სხვ.

გამბეტტა ცდილობდა ჯერ, რომ ეს აღელვებული ხალხი გაეჩუმებია თვისი მჭევრმეტყველურის სიტყვით; მაგრამ ვერც მჭევრმეტყველობამ, ვერც მუქარამ, ვერც მაგარ სიტყვებმა ვერაფერი გაარიგეს.

ამ სკანდალის მერმეთ ყველა მოუთმენელად ელოდებოდა 21 აგვისტოს. გათენდა ეს განკითხვის დღეც. რვა საათიდამ დაწყებული საღამოს 6-მდინ ყველა უბანში გაუწყვეტელი კენჭის ყრა მიდიოდა. საღამოს ათ საათზედ მთელმა პარიჟმა იცის თითქმის—ვინაა გათეთრებული და ვინ გაშავებული.

მარტო პარიჟი ირჩევს ოც-და-შვიდს დეპუტატს; ამ რიცხვში თუთხმეტი რადიკალია არჩეული. მეოცე უბანში პირველ განყოფილებაში გამბეტტა თავის მოპირდაპირე ლაკრუაზედ ას-ოცი ხმის უმეტესობით არის ამორჩეული; მეორე განყოფილებაში კი მოწინააღმდეგე ტონი რევილლიონზედ მარტო ერთი ხმა მეტი მიიღო გამბეტტამ, ასე რომ გამბეტტა აქ არ არის ამორჩეული.

ამ გარემოებამ ძრიელ დააფიქრა გამბეტტას მომხრეები. ვინ წარმოიდგენდა რომ გამბეტტა ასე უმცირედესი ხმით იქნებოდა ამორჩეული. აქ უმნიშვნელო დეპუტატსაც ირჩევენ ათასობით ხმის უმეტესობით, თორემ გამბეტტა, რომელიც მთელ სამინისტროს თავის ნებაზედ აბრუნებს, რომელიც მთელ ევროპაში ავტორიტეტად ითვლება, ძრიელი პოლიტიკური პარტიის წინამძღოლია, პრეზიდენტი პალატისა, ასე საეჭვოდ იქნა არჩეული.

ახლა გამბეტტას ურჩევენ შეადგინოს ახალი სამინისტრო და პირველი მინისტრის ადგილი დაიკავოს, ჟულ-ფერრის მაგიერად. მაგრამ ვინ იცის გამბეტტა მიიღებს ამ რჩევას თუ არა.

ყველაზე პირველ ახლად არჩეულ დეპუტატთა სიაში შესანიშნავია მონარხიულ პარტიის კანდიდატების სიმცირე და რესპუბლიკელების სიმრავლე. არას დროს არ ყოფილა წარსულში ამისთანა ამორჩევები რესპუბლიკის სასირგებლოდ. [illegible] სარჩევია 547 დეპუტატი; ამ რიცხვში ჯერჯერობით 483 ამორჩეული, 64-ს ხელმეორედ უნდა უყარონ კენჭი. 483 ამორჩეულებში ითვლებიან 38 მონარხიელები; 42 ბონაპარტიელები და 403 რესპუბლიკელი.

მას მერმეთ რაც პრინცი ნაპოლეონი მოკვდა ზულუსების ქვეყანაში, ბონაპარტიელების ყოველი იმედი დაკარგულია, ამათი პარტია ემზგავსება ცხვრის ფარას უმწყემსოთ მიტოვებულს; მათ არა ჰყავთ იმისთანა მოთავე, რომლის გარშემო მოიყარონ თავი და პოლიტიკური ძალა შეადგინონ გონიერ ბონაპარტიელებმა და მონარხიელებმა იციან ძრიელ კარგათ, რომ მათი საქმე წყალ-წაღებულია, გრძნობენ, რომ მათი წარმომადგენლობა პალატაში არაფერს არ არიგებს; ხედავენ აგრეთვე, რომ საფრანგეთის ხალხი თან-და-თან წარჩინებას აძლევს რესპუბლიკურ ფორმას მმართველობისას. ბევრი ამათში, თავის პარტიაზედ იმედ გარდაწყვეტილი, რესპუბლიკელების დასში გადადიან. ბევრმა სულ მიატოვა წარმომადგენლობა; ამის გამო რესპუბლიკელებმა მოიგეს ორმოც-და-ათი არდგილი ახალ პალატაში.

ყოველი პოლიტიკური ინტერესი და ბრძოლა მომავალში და ეხლაც ორ რესპუბლიკურ პარტიის შორის იქნება: ზომიერ რესპუბლიკურ პარტიასა და რადიკალებს შორის. პირველ ამათგანს უწოდებენ ოპორტუნისტად. ამ პარტიის წარმომადგენელია გამბეტტა.

მეორე—რადიკალური პარტია; უჭირავთ პალატაში უკიდურესი მარცხენა მხარე. კლემანსო ითვლება ამ პარტიის მოთავედ. არის კიდევ მესამე პარტია—ესრედ წოდებული პროგრესსიული ანუ ლიბერალური რესპუბლიკური პარტია, რომელიც რადიკალებს უფრო მიემხრობიან.

გამბეტტა ამბობს: თუმცა სენატი ძრიელ ძველი დაწესებაა, მაგრამ ცოტა შევაკეთოთ და ისე დავტოვოთო. კლემანსო ამბობს: არა, სჯობს, შეკეთების მაგიერად სულ დავარღვიოთო! აი პოლიტიკური პროგრამა რადიკალებისა: კონსტიტუციის რევიზია, სენატის გაუქმება, გაუქმება რესპუბლიკის პრეზიდენტობისა, კომუნალური ავტონომია, სრული თავისუფლება ყრილობის, ასოციაციისა და პრესისა; გაყოფა სახელმწიფოისა და ეკკლესიისა, მოსამართლების ამორჩევით დანიშნვა, სწავლა საერო, ვალდებული და უსასყიდლო, თანასწორობა სამხედრო სამსახურში და სხვ.

რადიკალების პარტია თან-და-თან მატულობს: ძველს პალატაში ოცდა-ათამდე დეპუტატი ითვლებოდა, ახალში კი სამოცამდინ იქნება.

ა. გიგუთელი.

---

*) გალიფე — ღენერალია, რომელმაც უმთავრესი მონაწილეობა მიიღო კომუნარების დამშვიდებაში. პირადი მეგობარია გამბეტტასი.

---

**ინგლისი.** პეტერბურღის დიპლომატიურ წრეში კარგა ხნით ადრე ჰქონდათ გაგებული, რომ თავ. პ.

კრაპოტკინი, შვეიცარიაში გარდასული რუსის რევოლიუციონერი, ჟენეველ რუსეთის რევოლიუციონერთაგან იყო დანიშნული ამათ წარმომადგენლად „სოციალისტთა ყრილობაზედ", რომელიც იყო ამ წლის ივლისის პირველ რიცხვებში ლონდონში. ამის თაობაზედ რუსეთმა თავის ლონდონელ ელჩის პირით მიჰმართა ინგლისის მმართებლობას, რომ ამან პოლიციურის წესით განდევნოს ლონდონიდამ თ. კრაპოტკინი.

---

**შვეიცარია.** ამავე თ. კრაპოტკინის თაობაზედ რუსეთმა შვეიცარიასთანაც გამართა დიპლომატიური მიწერ-მოწერა. შვეიცარიის მმართველობამ საგულის-ხმოთ მიიღო რუსეთის პირობები და დაადგინა თ. კრაპოტკინის განდევნა შვეიცარიიდამ. ამ ჟამათ თ. კრაპოტკინს, რომელმაც ევროპაშიდ ვერსად შეიფარა თავი, მხოლოთ ისღა დარჩენია, რომ ზარტმანის კვალს გაჰყვეს და ამერიკაში გარდავიდეს.

ჟენეველი კორესპონდენტი გაზეთი „ტაიმსისა" იწერება ამ თ. კრაპოტკინზედ: „ერთობ საყვარელი და დიდათ განათლებულია ეს კაცი, მაგრამ ამდენ ტანჯვას ის ფანატიკად გაუხდია. მიზანი, რომელსაც ის მისდევს, არის საყოველთაო ერთობა, რომელშიაც არ უნდა ერივნენ არც მდიდარნი, არც ღარიბნი და არც უქმად დროის მატარებელნი, მიზანი, რომელსაც შეიძლება მივაღწიოთ მხოლოდ მთელი ევროპის რევოლიუციით".

# განცხადებანი

**ხელმწიფე იმპერატორმა**, 1881 წელსა აპრილის 24 დღესა, კეთილ-ინება, რათა საქალებო პროგიმნაზიას, რომელიც უნდა გაიხსნას ქ. გორში, მიენიჭოს სახელწოდება „ანასტასიისა" პატივ-საცემლად **მათი იმპერატორებითი უმაღლესობის მიხეილ ნიკოლოზის-ძის** და **ოლღა თეოდორეს** ასულისა. პროგიმნაზია გაიხსნება **მისი იმპერატორებითი დიდებულების** სახელწოდების დღეს, 30 აგვისტოსა, დილის 12½ საათზედ მირიანოვის სახლებში, სადაც ამ დროისათვის მოიწვევთ მოწაფე-ქალთა, მათ მშობელთა და ყოველთა პირთა, რომელთათვისაც კი ძვირფასია დადგინება გორში პირველის გამავრცელებელისა დედათა სქესთა შორის სწავლა-განათლებისა. ანასტასიის გორის პროგიმნაზიაში ამ წელს გაიხსნება მოსამზადებელი და პირველი კლასი და მეორე კლასიც ხოლო იმ შემთხვევაში, უკეთუ ამ კლასში ოცამდინ შეგროვდებიან მოწაფენი. აგვისტოს უკანასკნელი დღეები 25 ვიდრე 30-მდე დანიშნულ არიან ქალების მიღებისათვის პროგიმნაზიაში, იმათ განწყობა-განაწილებისათვის კლასებათ და განყობილებათ და სწავლის ფასის შეტანისათვის, რაიცა საყოველთაოთ ეცნობების მშობლებს, რომელთაც განაცხადეს სურვილი თავიანთ ქალების პროგიმნაზიაში მიცემისა. თხოვნები შესახებ ქალების მიღებისა მიეცემიან 1 ენკენისთვემდის სემინარიის დირექტორს. პროგიმნაზიაში სწავლის ფასი დადგენილია შემდეგი: მოსამზადებელ კლასში 15 მან., I-ში 25 მან., II-ში 35 მან., III-ში 45 მან. და IV-ში 50 მან. წელიწადში. ეს ფასი ყოველ ნახევარ წლისა წინ-და-წინ უნდა იქმნეს წარმოდგენილი: ერთი წლის პირველის ნახევრისა 15 აგვისტოდამ 1 ენკენისთვემდე და წლის მეორე ნახევრისა 1-დან 15 იანვრამდე. მუზიკისა და ფრანციზული ენის სწავლებისათვის სხვა ფასი დაწესდება ამ საგნების მასწავლებლებთან დათანხმებით. ანასტასიის პროგიმნაზიაში იმ გვარივე საგნების შესწავლა იქმნება, რა გვარათაც ქალაქის საქალებო პროგიმნაზიაში და ამისათვის გორის პროგიმნაზიაში სრული სწავლის შემსრულებლებს შეეძლებათ ტფილისის საქალებო გიმნაზიის მეხუთე კლასში შესვლა. ხოლო ღარიბ ქალთათვის, რომელნიც ისურვებენ პირველ დაწყებით მასწავლებლობას, განზრახულია, რომ გაიხსნას პროგიმნაზიაში ორ წლიური სამასწავლო განყოფილება. პროგიმნაზიაში ვალდებულ საგნებთა რიცხვს მიეწერებიან: სალმრთო წერილი, რუსული, ქართული (ქართველთათვის) და სომხური (სომეხთათვის) ენები, არითმეტიკა, გეომეტრია, ბუნების მეტყველება, გეოგრაფია, ისტორია, წერა, ხატვა, გიმნასტიკა, ტანცაობა და ხელსაქმობა. ფორმა ტანისამოსისა პროგიმნაზიელთათვის—მიხაკის ფერი კაბა და შავი ფართუკი. სადღესასწაულოთ კი უნდა ექმნესთ შავის მაგივრათ თეთრი ფართუკები. პროგიმნაზიის შენახვის საშუალებას შეადგენენ:

ა) ქ. გორის ყოველ წლიური შესაწევარი—1000 მან., ბ) გორის კრებულიდგან (კრუჟოკიდგან) დანიშნული—300 მან., გ) გორის საქალებო ქველ-მომქმედ საზოგადოებისაგან აღთქმული—300 მან. და დ) უმთავრესად, ზემორეთ მოხსენებული გარდასახადი სწავლის ფული, ამისთვის მზრუნველობითი რჩევა პროგიმნაზიისა უმორჩილესად სთხოვს მშობლებს, რათა მათ სწავლის ფული აუცილებლივ ზემორე დაწესებულ ვადებზედ წარმოადგინონ ხოლმე, რადგანაც შემოუტანლობისათვის სწავლის ფასისა დანიშნულ ვადებზედ მათი შვილები დათხოვნილ იქმნებიან პროგიმნაზიიდგან. უფასოთ მოსწავლენი ჯერ-ჯერობით არ მიიღებიან პროგიმნაზიაში, ამისათვის ღარიბი მშობლები, რომელთაც სურთ მისცენ განათლება თავიანთ ქალებს, ვალდებულ არიან მოიპოვონ კეთილის მყოფნი, რომელთაც შეიტანონ იმათ ქალებთათვის მხვედრი სწავლების ფასი. ამასთანავე მზრუნველობითი რჩევა, გასამრავლებლათ პროგიმნაზიის ღონისძიებისა, იწვევს გულს-მოდგინე პირთ კავკასიაში განათლების გავრცელებისთვის, რათა იგინი ანუ ჩაეწერნენ გორის საქალებო ქველ-მომქმედ საზოგადოების წევრთ რიცხვში და ივალდებულონ ყოველ წლივ შეტანა ამ საზოგადოებაში თითო თუმნისა, ანუ ერთდროთ შემწეობა მისცენ პროგიმნაზიას გინა ფულით, გინა სხვა და სხვა საჭირო მასალებით, მაგალითებრ, შეშით, ნავთით, სანთლით, ხელსაქმობის კუთვნილებით და სხვ.

განცხადებით ყოველ გვარ შემოწირულებაზედ ვთხოვთ მიმართონ მზრუნველობით რჩევის თავსმჯდომარეს კავკასიის აქეთა მხრის სამასწავლებლო სემინარიის დირექტორს დ. დ. სემიონოვს. (3—1)

---

## ბელიომინია ტპერი

საყურადღებო გამოგონება განსაკუთრებით მანდილოსნებისათვის. მოვგონი ვკისრულობ, ყველას, რომელთაც ხატვა არ იციან, სამის გაკვეთილით დავასწავლო შეღებვა მუშამზედ ფოტოგრაფიული სურათებისა, გრავიურებისა და სხვა ე-აპარატით. აგრეთვე გადაღება სხვა-და-სხვა სურათებისა ქაღალდზედ, აბრეშუმზედ და სხვ. რიცხვით რამდენი ეგზემპლიარიც იქნება საჭირო. დავრჩები აქ ცოტა ხნით. სასტუმრო „გრანდ ოტელი" № 22; ვიღებ დილის 10—1 საათამდე. (2—1)

---

**მიუხედავათ** იმისა, რომ ბაჟი მოიმატა, საქონელი გაიყიდება ისევ იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: კონგო-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინინგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ., მშვენიერი კაისაუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. მრიელ კარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქაღალდოთ.

ინგლისური რევოლვერები 4 მ.—40 მანეთამდინ და თოფები 20—200 მანეთამდინ. **ინგლისის მაღაზიაში.** საავგენტო ბარნსბის უნაგრების გასასყიდლათ, ჯონსის კლიტეებისა, შოკოლადისა და ეკსტრაქტისა კაკაო ფრაის რომელთაც დაიმსახურეს პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ ოქროს მენდალი. გირვანქა არომატიული ჩაისა ლამაზი ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. ვაჭრები მოიგებენ, თუ იყიდიან ბლომათ ინგლისის მაღაზიაში. მთელი კოსტიუმი 15 მ. ხვლების კონფეკტები 60 კ. ერთი გირვანქა. (100—96)

---

## ახლად მიღებულია

ინგლისის მაღაზიაში დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა. 30% უფრო უკეთესი ვიდრე სადმე სხვაგან. იქვე ისყიდება: პაროსინა არშ. 40 კა. სტაქნები და ბაკლები 10 კაპ., პადნოსები 5 კაპ. მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (25—17)

---

სამოსწავლებლო რჩევა ქუთაისის ქალაქის პირველ დაწყებითი სასწავლებლისა ამით აცხადებს ქუთაისის მცხოვრებთ, რომ ამ სასწავლებელშიდ ყმაწვილების მისაღები თხოვნა—თან წარდგენით მეტრიკის წიგნიდამ გამოწერილობისა და—თუ ყმაწვილის მშობელნი ღარიბნი არიან, ქალაქის გამგეობის მოწმობისა, უნდა მიეცეს სასწავლებლის ზედამხედველს ამ წლის 1-ს სექტემბრამდინ.—

თხოვნა მიიღება: 25-ს აგვისტომდინ ქალაქის გამგეობაში, ხოლო 25-ს აგვისტოდამ კი თავათ სასწავლებლის სადგომზე, რომელიც იმყოფება თ. ნიკოლოზ სიმონისძის წულუკიძის სახლებში, სილაზე, მესხეთის ქუჩაზე.— (3—1)

---

**ლონდონის მაღაზია** კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაის გასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შიო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლემჩივინი ზეთისა) და სხვ. საავგენტო მაკინტოშის მოსასხურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატჯერის და კამპ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჯავახას გიარები. (100—13)

---

**ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია** დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. იქვე **იყიდება:** პაროსინა 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ—დამ; პადნოსები 5 კ.—დამ, ურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—8)

---

## ადვოკატი პეტრე ტროფიმისძე გარდიევსკი

ამით აცხადებს, რომ ის იღებს თავის-თავზე **სუდებში** დაცვას და წარმოებას **სამოქალაქო** და **სისხლის სამართლის საქმეებისას.**

ყოველი მონდობილება ქუთაის გარეთ მცხოვრებლებიდგან იქნება ასრულებული დაუყოვნებლივ.

მუდამი ბინა მექნება ქალაქ ქუთაისში, ბილახვანის ქუჩაზე, ნიკოლაიშვილის სახლში. (5—2)

---

ქუკიაში, მიხაილოვის ქუჩაზედ, სტრახოვების სახლებში, № 85 ახლად გაიმართა სავარჯიშო კლასები და პანსიონი ამზადებენ ყველა კლასებში საშუალო სასწავლებლებისა.

(2—1) გარტინსკი და მირზაშვილი.

---

ინგლისური ინგბერ შამპანის ღვინო! ფასი უჭურჭლოთ 25 კაპ. (ჭურჭლით 40 კაპ.), დიდი ბოთლია, **ინგლისის მაღაზიაში.** (10—7)

Дозволено цензурою Тифлисъ, 27 Августа 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი